

საოლქო სასამართლოს პალატებს შორის განსჯადობა



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3ვ/აღ-15-გ-03

6 ნოემბერი, 2003 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა

შემადგენლობა: ლადო ჭანტურია (თავმჯდომარე),
ვალერი ხრუსტალი,
ბადრი მეტრეველი,
მერაბ ტურავა,
ნუგზარ სხირტლაძე,
ნანა კლარჯეიშვილი (მომხსენებელი),
იამზე ლეგაშვილი,
მარიკა ცისკაძე,
მიხეილ გოგიშვილი

განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად განიხილა თბილისის №... ქარხანა „თ.-ის“ მუშა-მოსამსახურეთა სააპელაციო საჩივრის განსჯადობის თაობაზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო, გაკოტრების საქმეთა და ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატებს შორის დავა.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

„სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1997 წლის №288, №571 და №445 დადგენილებების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის 1994 წლის 29 დეკემბრის №38.32.410 დადგენილებით №... ქარხნის ბაზაზე დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „თ.-მი“, საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის

თანახმად, სს „თ.“ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 12 ოქტომბრის დადგენილებით, რის შემდეგაც დაიწყო საწარმოს აქციათა პრივატიზების პროცესი. სს „თ.-ის“ აქციათა პაკეტი გაიყიდა 1996 წელს ჩატარებულ №24, 35, 45 საბარათო აუქციონსა და 1999 წელს ჩატარებულ სპეციალიზებულ აუქციონზე. სს „თ.-ის“ შრომითი კოლექტივის ნაწილმა საწარმოს აქციათა პრივატიზაცია უკანონოდ მიიჩნია.

2000 წლის 27 ოქტომბერს ქ. თბილისის ქარხანა „თ.-ის“ მუშა-მოსამსახურეთა საინიციატივო ჯგუფის წევრებმა: ს. ა.-მა, მ. გ.-ამ, რ. უ.-მ სარჩელი აღძრეს თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე სს „თ.-ის“ დირექტორების: ი. კ.-ის, მ. პ.-ის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების: ნ. პ.-ის, ო. მი.-ის, ვ. პ.-ის, ს. ჯ.-ის მიმართ და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 348-ე, „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.7; 5.8 მუხლების საფუძველზე მოითხოვეს სს „თ.-ის“ რეგისტრაციის შესახებ ისნის რაიონული სასამართლოს 1996 წლის 9 დეკემბრის დადგენილების გაუქმება. მოსარჩელეებმა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ასევე მოითხოვეს ქარხნის პრივატიზაციისა და მათი გამოშვებული სერტიფიკატის გაუქმება.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 დეკემბრის საოქმო დადგენილებით საქმეში თანამოპასუხედ ჩაბმულ იქნა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. რაიონული სასამართლოს 2001 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით თბილისის №... ქარხანა „თ.-ის“ მუშა-მოსამსახურეთა საინიციატივო ჯგუფის წევრების სარჩელი სს „თ.-ის“ რეგისტრაციისა და პრივატიზების, ასევე მათ მიერ გამოშვებული სერტიფიკატის გაუქმებაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის გამო. საქმე რაიონულ სასამართლოში განხილულ იქნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საინიციატივო ჯგუფის წევრების მიერ, რომლებმაც არაერთგზის დააზუსტეს და შეცვალეს თავიანთი მოთხოვნა. ბოლოს, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 12 მარტის სხდომაზე აპელანტებმა მოითხოვეს:

1. ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების გაუქმება;
2. სს „თ.-ის“ 1995 წლის 12 ოქტომბრის სასამართლო რეგისტრაციის გაუქმება;
3. სს „თ.-ის“ 1996 წლის 9 დეკემბრის რეგისტრაციის გაუქმება;
4. საწარმოს აქციონირების თაობაზე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1994 წლის 29 დეკემბრის დადგენილების ბათილად ცნობა;
5. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 22 იანვრის №02.23.41 დადგენილების ბათილად ცნობა №24 სპეციალიზებული საბარათო აუქციონის შედეგების დამტკიცების თაობაზე;
6. №35 სპეციალიზებული საბარათო აუქციონის შედეგების დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 11 აპრილის №1-3/109 ბრძანების ბათილად ცნობა;
7. №45 სპეციალიზებული საბარათო აუქციონის შედეგების დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 8 აგვისტოს №1-3/455 ბრძანების ბათილად ცნობა.

ვინაიდან სს „თ.-ის“ სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბება და აქციების პაკეტის პრივატიზებასთან დაკავშირებული სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანებები არ წარმოადგენდა რაიონული სასამართლოს მსჯელობის საგანს, მოწინააღმდეგე მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის საფუძველზე, მიზანშეუწონლად ცნო ამ ეტაპზე სს „თ.-ის“ მუშა-მოსამსახურეთა საინიციატივო ჯგუფის წევრების მიერ დავის საგნის გაზრდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის საგნის გაზრდის შედეგად გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტები წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი სამთავრობო დაწესებულების ადმინისტრაციულ აქტებს, რომელთა კანონიერებაზე მსჯელობა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, საოლქო სასამართლოს კოლეგიის პირველი ინსტანციით განსჯადი სარჩელია და მსგავს საქმეებზე რაიონულ და სააპელაციო სასამართლოს კომპეტენცია არ გააჩნია. ამის შემდეგ დაკონკრეტდა მოსარჩელეთა მოთხოვნა და მათ მოითხოვეს სს „თ.-ის“ 1995 წლის 12 ოქტომბრისა და 1996 წლის 9 დეკემბრის სასამართლო რეგისტრაციის გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნების დაზუსტების შედეგად დაადგინა, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სს „თ.-ის“ რეგისტრაციის შესახებ ისნის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 12 ოქტომბრისა და 1996 წლის 9 დეკემბრის დადგენილებების გაუქმება, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, არ წარმოადგენს ადმინისტრაციული დავის საგანს. ამიტომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 342-348-ე მუხლების თანახმად, საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატას.

ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის მოსაზრებას, საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად მათთვის გადაცემის შესახებ, არ დაეთანხმა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატა და განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თანახმად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა. სააპელაციო სასამართლოს აზრით, სს „თ.-ის“ რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მოსარჩელეთა მოთხოვნა ემყარება იმ გარემოებას, რომ საწარმოს პრივატიზებისას დაირღვა შრომითი კოლექტივის უფლებები და რომ არა საწარმოს უკანონო პრივატიზება, არც საწარმოს რეგისტრაცია მოხდებოდა ამ სახით. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დავის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონი და სხვა კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც საჯარო სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს. ამასთან, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დავაში მოპასუხე მხარეს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო წარმოადგენს და მოსარჩელები სწორედ ამ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედებების კანონიერებას ხდიან სადავოდ.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა საქმის მასალების შესწავლისა და სააპელაციო საჩივრის განსჯადობის შესახებ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო, გაკოტრების საქმეთა და ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატების განჩინებათა გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ თბილისის №... ქარხანა „თ.-ის“ მუშა-მოსამსახურეთა სააპელაციო საჩივარი განსახილველად განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, რომელიც ადმინისტრაციული დავების განსჯადობას განსაზღვრავს, დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის საჭიროა შემდეგ პირობათა არსებობა:

ა) სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამოძინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, თანახმად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილისა ან ადმინისტრაციული დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები;

ბ) სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო (სამართალსუბიექტობის პრინციპი), თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ დავაში მონაწილეობა არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციულ საქმედ მიჩნევის აბსოლუტურ კრიტერიუმს, არამედ უმთავრესია თავად სადავო სამართალურთიერთობის არსი და დავის საგანი.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია სს „თ.-ის“ 1995 წლის 12 ოქტომბრისა და 1996 წლის 9 დეკემბრის სასამართლო რეგისტრაცია. მოსარჩელეა სს „თ.-ის“ მუშა-მოსამსახურეთა საინიციატივო ჯგუფი, ხოლო მოპასუხეებად დასახელებულნი არიან სს „თ.-ის“ დირექტორები, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, როგორც საზოგადოების დამფუძნებელი, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს.

სააქციო საზოგადოების, ისევე, როგორც კერძო სამართლის სხვა იურიდიული პირის დაფუძნება-რეგისტრაციის, პარტნიორთა უფლება-მოვალეობებისა და საზოგადოების მართვის საკითხები, სამართლებრივად წარმოადგენს კორპორაციულ ურთიერთობას, რომელიც რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XI თავით – „საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია“, რაც ადმინისტრაციულ კანონმდებლობას არ განეკუთვნება. მაგრამ, დიდი პალატის აზრით, დავის არსისა და სამართალსუბიექტობის პრინციპის მიხედვით, განსახილველი დავა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება, ვინაიდან:

1. კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ სს „თ.“ საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 1994 წლის 29 დეკემბრის №38, 42, 410 დადგენილებით. №... ... ქარხნის ბაზაზე სააქციო საზოგადოების დაფუძნება განხორციელდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1997 წლის №288, 571 და 445 დადგენილებების შესაბამისად, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის ორგანიზაციული ღონისძიებები და სწორედ მოპასუხეს

– სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს – დაევალა საქართველოში მსხვილ სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა. ამიტომ დიდი პალატა განმარტავს, რომ საწარმოს დაფუძნებასთან დაკავშირებულ დავებში (მაგ: სწორად მოხდა თუ არა საწარმოს რომელიმე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნება) მოპასუხედ ჩართული უნდა იყოს საწარმოს დამფუძნებელი, კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო (ამჟამად საქართველოს მრეწველობის, ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტრო) და სამართალსუბიექტობის პრინციპის მიხედვით, ამგვარი დავა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას განეკუთვნება.

2. საწარმოს დაფუძნება სამართლებრივად წარმოადგენს გარიგებას საზოგადოების შექმნაზე. სახელმწიფოს მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება იმავდროულად ნიშნავს სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობას (განკარგვას), ვინაიდან ამ დროს ხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების გადაცემა კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებად, თუნდაც ამ იურიდიული პირის წილთა 100%-ის მესაკუთრედ სახელმწიფო დარჩეს. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის მიხედვით: „პრივატიზება არის ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიანების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა, რის შედეგად სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ხოლო სახელმწიფო ორგანოები – მისი მართვის უფლებას“.

სააქციო საზოგადოება და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენენ კაპიტალური ტიპის საზოგადოებას, რომლებიც კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მთელი თავიანთი ქონებით. ამიტომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.4.3 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების თანახმად, საწარმოს რეგისტრაციისას სავალდებულოა საწესდებო კაპიტალის ოდენობაზე მონაცემისა და შესრულებული შენატანის შესახებ საბუთის სასამართლოში წარდგენა, პარტნიორთა შენატანის ოდენობის მითითებით. დამფუძნებლის მიერ საწარმოს საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანი კი წარმოადგენს საწარმოს საკუთრებას. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალში განხორციელებული შენატანი ხდება საწარმოს საკუთრება და სახელმწიფო კარგავს მასზე საკუთრების უფლებას, ანუ ადგილი აქვს ქონების განსახელმწიფოებრიობას – სახელმწიფო ქონების პრივატიზებას.

კონკრეტულ შემთხვევაში სს „თ.-ის“ დამფუძნებელია ადმინისტრაციული ორგანო – სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და თუ მოსარჩელები სადავოდ ხდიან №... ქარხნის ბაზაზე სს „თ.-ის“ დაფუძნებას, მაშინ დავის საგანია ადმინისტრაციული გარიგება, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს წარმოადგენს.

3. საწარმოს წარმოშობა და მასთან დაკავშირებული სხვა ფაქტები მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ იძენენ იურიდიულ ძალას, ამიტომ საწარმოს რეგისტრაციას კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.1 მუხლით სამეწარმეო რეესტრში საწარმოს რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს ერთ-ერთ პარტნიორს, თუ გაცხადება რეგისტრაციაზე და თანდართული დოკუმენტები შეესაბამება კანონის 5.4 და 5.5 მუხლის მოთხოვნებს. ამავე კანონის 5.8 მუხლის თანახმად: „თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, რეგისტრაცია უქმდება, თუკი ეს ხარვეზი სამი თვის ვადაში

არ იქნება გამოსწორებული. რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს აგრეთვე საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ სარჩელის საფუძველზე“.

სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შესახებ სარჩელის სამართლებრივი საფუძველი, დიდი პალატის აზრით, შეიძლება იყოს საწარმოს დაფუძნების არაკანონიერება, რაც ადმინისტრაციული გარიგების თაობაზე დავაა და ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება ან საწარმოს სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტაციის კანონშესაბამობა, ანუ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პირობების დაუცველად საწარმოს რეგისტრაცია. ვინაიდან საწარმოს დაფუძნება და რეგისტრაცია დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილებით ხდება და სასამართლოში ის წარადგენს რეგისტრაციისათვის საჭირო მასალებს, დიდი პალატა განმარტავს, რომ საწარმოს რეგისტრაციის კანონიერების გადაწყვეტა გულისხმობს პარტნიორის ქმედების, მის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის კანონიერების დადგენას. კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან სს „თ.-ის“ დამფუძნებელია ადმინისტრაციული ორგანო – სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, საწარმოს რეგისტრაციის კანონიერებაზე დავა გულისხმობს ამ ადმინისტრაციული ორგანოს, როგორც დამფუძნებელი პარტნიორის ქმედების, მის მიერ წარდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის, მათ შორის საწარმოს წესდების კანონიერების შესახებ დავას, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება.

4. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.6 მუხლი იმპერატიულად მიუთითებს, რომ კანონის 5.4 მუხლით გათვალისწინებული რეგისტრაციისათვის სავალდებულო ფაქტების ყოველი ცვლილება (საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, დამფუძნებელი პარტნიორის ცვლილება (გარდა სააქციო საზოგადოებისა), საწესდებო კაპიტალში ცვლილება, დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ცვლილებები) საჭიროებენ რეგისტრაციას და ცვლილება ძალაში შედის მხოლოდ მისი რეგისტრაციის შემდეგ. დიდი პალატა განმარტავს, რომ ცვლილების რეგისტრაციის შესახებ დავა სამართლებრივად არ წარმოადგენს ადმინისტრაციული წესით განსჯად საქმეს, აღნიშნულ დავაში მოპასუხე არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო, როგორც პარტნიორი, არამედ მოპასუხეა თვით საწარმო. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს დირექტორს, რომელიც, ცხადია, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

5. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის საფუძველზე მიზანშეწონილად არ ჩათვალა დავის საგნის გაზრდა, სს „თ.-ის“ პრივატიზებასთან დაკავშირებით მოპასუხე – სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანებების კანონიერების ნაწილში. სააპელაციო პალატის განჩინება დავის საგნის გაზრდაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებული არ არის. ამიტომ მის მართებულობაზე დიდი პალატა ვერ იმსჯელებს, მაგრამ დამატებით განმარტავს, რომ სს „თ.-ის“ პრივატიზებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანებები სამართლებრივად არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ აქტებს. შესაბამისად დავა არ არის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით საოლქო სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმე, რადგან პრივატიზება ადმინისტრაციული გარიგებაა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე და მე-2 მუხლების „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული გარიგება სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებას წარმოადგენს, მხოლოდ გარიგების ერთ-ერთი კონტრაჰენტი არის ადმინისტრაციული ორგანო – სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და მისი აქტებიც (ბრძანება კონკურსის ჩატარების შესახებ, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი, ბრძანება კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ და ა.შ.) სწორედ ადმინისტრაციულ გარიგებასთან, სს „თ.-ის“ აქციების პრივატიზებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ დიდი პალატა განმარტავს, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების თაობაზე ბრძანებები სამართლებრივად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ აქტებს კი არ წარმოადგენენ, არამედ სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული, კონტრაჰენტი ადმინისტრაციული ორგანოს ნების წერილობითი ფორმით გამოხატვით ადმინისტრაციული გარიგების დადებასთან დაკავშირებით.

დიდი პალატა ასევე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ გარიგებებში ადმინისტრირებას ვერ განახორციელებს და ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ვერ გამოსცემს კონტრაჰენტისათვის შესასრულებლად სავალდებულო ადმინისტრაციულ აქტს, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე და სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, გარიგებებში (კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში) სახელმწიფო და მისი ადმინისტრაციული ორგანოები ისე მოქმედებენ, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. კერძოსამართლებრივი (სახელშეკრულებო) ურთიერთობები კი დაფუძნებულია არა ადმინისტრირების (ქვემდებარების) პრინციპზე, არამედ მხარეთა თანასწორუფლებიან ნებაყოფლობით პარტნიორობაზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. თბილისის №... ქარხანა „თ.-ის“ მუშა-მოსამსახურეთა სააპელაციო საჩივარი განსახილველად განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.